# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 3

"23" იანვარი 2024 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-9 კვარტლის კორპუსი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.031.006.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-9 კვარტლის კორპუსი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.031.006.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 იანვრის №24.40.55 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-9 კვარტლის კორპუსი №5-ში, პირველ სართულზე არსებული 28.89 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.031.006.01.511) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე დავით ბარნაბიშვილისთვის (პ/ნ. 01027029345) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე